თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

ქ. თელავი

N 33
31/07/2020

33-09-4-202007311806

# თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის, განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტების შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თელავის მუნიციპალიტეტის მერს, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, მისი არსებობის ვადით, სარგებლობაში გადასცეს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული:
   **ა)** ქ. თელავში, თბილისის გზატკეცილზე მდებარე 8027 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.34.034);
   **ბ)** ქ. თელავში, თბილისის გზატკეცილზე მდებარე 3766 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 53.20.34.036).
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**3.** განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

არჩილ თხლაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო